



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.93221542

თარიღი:03/06/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის, შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

**მუხლი 1**

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში მდებარე- 930 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულ შენობა - ნაგებობა, რომლის განაშენიანების ფართია -495.30 კვ.მ, (საკადასტო კოდი:N54.14.52.021) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზურფრუქტის ფორმით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრს“ (ს/კ:433105702) არსებობის ვადით.

**მუხლი 2**

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ვარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

